**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლში. № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** [illegible] წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

უქველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** [illegible] ებით ასოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲓᲐᲛ ᲐᲛ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲘᲜ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ"

ᲦᲘᲠᲡ Ს Ა Მ ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲓ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲓᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲘᲜ—Ო Რ ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲓ.

**ხელის-მოწერა** შეიძლება Თფილისში: რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8.

ქალაქს გარეშე პირთა ამ ადრესსით უნდა დაიბარონ გაზეთი: ***Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба"***.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

### ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

### Თ ე ლ ა ვ ი ს ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი ი ს ო ი ნ ე ბ ი

ქვემო-მოყვანილი წერილიდამ, რომელიც ჩვენ გუშინ მივიღეთ ერთის გლეხისაგან, მკითხველი გაიგებს—თუ როგორ საქმეებს სჩადიან და თავის ჯიბის სარგებლობისათვის როგორ ოინებს აჩერხებენ, როგორ ატყუებენ სოფლის ხალხს ზოგიერთი ბოროტი პირები.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უმაღლესი მთავრობა ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებასა და ჯეროვანად დასჯის იმ მოხელეთა, რომელნიც ასე ბოროტად, ასე უსინიდისოთ სარგებლობენ ერთის მხრით მთავრობის ნდობით და რწმუნებით და მეორეს მარით ხალხის უმეცრებით.

Აი ეს წერილი:

„შვიდს ღვინობისთვეს, ორასამდის ცხენები მორეკეს სულ კუდ-შეკვეცილები ჩვენს სოფელში. მეორეს დღეს მობძანდა Თელავიდგან ნაჩალნიკი, მობრძანდნენ პრისტავები, მობრძანდნენ წითელის ყაბალახებით ჩაფრები, მოვიდნენ ყველა სოფლების მამასახლისები ხუთ-ხუთის და ათ-ათის კაცით.

„Ცალ მხარეს დაამწკრივეს ცხენები, ცალ მხარეს მოსული მოხელეები და ხალხი. ნაჩალნიკმა გამოაცხადა:

„—Ეს ცხენები ნამესტნიკმა გაჩუქათ თქვენ; არც თავად-აზნაურს, არც ჩინოვნიკებს, არც სომხებს და არც ლვდლებს არ მიეცემაო; თქვენ უნდა წაიყვანოთ, ვისაც რავდენიც გინდათ".

„Უველას გაუხარდა ხემწიფის წყალობა; მაგრამ მერე სხვა რიგად გამოვიდა საქმე.. Დაუმატა ნაჩალნიკმა:

„—Ცხენები წაასხით, მაგრამ ვერც უნაგირს და ვერც ფლანს ვერ დაადგავთ; ფურღუნი ან ოთხ თვლიანი, ან ორ თვლიანი პოვოსკები უნდა გამართოთ და იმაში შეაბათ!"

„Ამ ბრძანებამ მოხელეებიც და ხალხიც შეაფიქრა: Თუ გვაჩუქა ხელმწიფემ, ვერც უნაგირი დავადგათ, ვერც ფალანი და ვერც შავსხდეთ, მაშ ვინ მოგვცა ფურგუნი და პოვოსკა! Არა, ჩემო ძმაო, აქ რაღაცა სახლინკავი საქმე არის, თავი დავანებოთო!

„Ვნახოთ, ბატონო, გამოჩნდნენ კაცები: სოფლის გლეხებმა უცბათ დაიძახეს: მე მომეციო! Და ზოგმა ორი, ზოგმა სამი, ზოგმა ოთხი ცხენები მიიღეს და წაასხეს.

„Ბოლოს შევიტყვეთ, რომ ეს კაცები სულ დაქირავებულნი ყოფილან, ზოგნი თავადებისაგან, ზოგნი აზნაურებისაგან, ზოგნი პრისტავებისაგან, ზოგნი ჩაფრებისაგან, ზოგნი სომხებისაგან, ზოგნი ღვდლებისაგან და ზოგნი კუდა აზნაურეებისაგან (თავადების ნაბიჭვარი)!

„Ეხლა საითაც მიიხედოს კაცმა, ფოშტებში გნებავთ, არენდატორებთან გნებავთ, თავად-აზნაურებთან, ღვდლებთან, სომხებთან და კუდალა აზნაურებთან, პრისტავებთან, თუ ჩაფრებთან—სულ კუდ-შაკრეჭილი ცხენები ჰყავთ, უნაგირებიც უდგათ და ფალნებიც! Საწყალს გლეხებს კი უარი უთხრეს, შენი რისხვა არა მაქვს, ბატონო რედაქტორო! Ზოგ-

## ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

### ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲘ

Ჰსდის მტკვარი, ოხვრით მიჰრაგჩის,
Ჭაღლთ-ჩქაფ-ჩქუფით მხმობარე;
Ღელვა ლოდ-კლდეთა სცემს, ბრაგნის
Მრისხანედ, არ ვის მთმობარე.

—

Ზოგან მღერს, ზოგან ექვნებრ ქღერს,
Ზოგან ბუტბუტებს ჩურჩულით;
Ზოგან მდოვრობს, ზოგანაც სჩხერს,
Ზოგანც ტრიალებს ბურჯულით!

—

Თითქოსო ზოგთ უწყრებოდეს.
Ზოგთ უყვავებდეს ტკბილადა!
Ზოგს ხვაშიადს უტყდებოდეს,
Ზოგთ ჰპირდებოდეს თბილადა!

—

Ეს რომ არავის არ ესმის,
Მერმე მიჰყვება ღრიალსა:
Კლდე-ღრეთ გულთ ლახვარი ესმის,
Ვინ მოსთქვამს მათ ზარ-ზრიალსა?

—

Აქა-იქ გარდმოსდგომიან
Ხევ-ღელე, თავთ ციხე ნაგნი;
Გარს მცველ-მზერლად მოსდგომიან,
Ხშირ ტყის ფიჭვ-ნაძვთ ბურვილ ბანკი.

—

Დასტირან რყევა-ნძრევითა,
Გააქვთ ხშირ ფოთელთ ქრიალი;
Თვალთ ვერ ჰრიდებ აქცევითა,
Უურთა სჭედს მათი შრიალი!

—

Არ ვინ არ იცის, რა სჭირან?
Რა აქვსთ ასრე სამწუხარე?
Რომ ასრე სრულ თავს დასტირიან,
Ჰსდისთ მიწყივ ცრემლნი მდუღარე?...

—

Ნეტა მითხრათ მე ამათი
Გულის სიტყვა, ხვაშიადი?
Რაზედ აქვსთ გჭობა, კამათი?
Შექროლ-გაქროლვა ხშირადი?

—

Არა ვინ არის ამისა
Მეძიებელი, მზრუნავი!
—Ძმას ძმა არ ახსოვს ლამისა,
Წახდა ეგრე დრო მბრუნავი!

—

Ეს უნდა იყოს, მგონია,
Ჩავლილი წყალს თუმც არ ვინ უგრძნობს:
Ერთ დროს ქართლს თუ რამ ჰქონია,
Მათ ყამყადრს ყურთ უთქვებს უცნობს!.

Ვინმე მესხი

16 ღვინობისთვეს, Ახალციხეს.

## ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ

**ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲯᲚᲘᲡᲘ,** სხვა და სხვა ახალი სიმღერბი. Თქმულნი გ. Ი. სკანდარ-ნოვისაგან. Თფილისი, 1878.

—

Იქნება მართლა ფ. სკანდარ-ნოვას თავის თავი დაუჯერებია,—ახალი ლექ-

ზოგი ცხენი ათსა და თხუთმეტს თუმნათ უფრო მეტათაც ღირან.

„გლეხების სახელობაზედ ნაბოძებით სხვები ხარობენ, და ჩვენ, გლეხები, პირდაღებულნი შევცქერით!

„ურიგო არ იქნება, მთავრობამ ყურადღება მიაქციოს, და ვისაც ეკუთვნისთ, ცხენები იმათვე ჩაბარდეთ—უფრო სამადლობელი და სასარგებლო იქნება.. აგების მეც ერთი ჯაგლაგის ღირსი გავხდებოდი...“

*** გასულ ორშაბათს, 23 ღვინობისთვეს, ქალაქის რჩევამ ყველაზე პირველად მოისმინა გამგეობის მოხსენება იმაზედ, რომ ქალაქის საკუთარი ნავთლუღის ნავთის წყაროები იჯარით გაიცა წელიწადში 1,050 მანეთად და მნაცაკანის პარომი 305 მანეთადაო. ზოგიერთ ხმოვანებმა შენიშნეს გამგეობას, რომ ნავთის წყაროები ერთობ იეფად მიგიციათ იჯარითაო, ადრე წელიწადში ექვსას თუმნად იყოვო; მაგრამ ბოლოს კრებამ დაამტკიცა გამგეობის განკარგულება.

შემდეგ ჩამოვარდა ხანგრძლივი ლაპარაკი და ბაასი ქალაქში წყლის გაყვანის თაობაზედ. გამგეობის მოხსენებიდამ აღმოჩნდა, რომ რამდენსამე უცხო ქვეყნის ინჟინერებს და საზოგადოებას შემოუტანიათ ჩვენს გამგეობაში წინადადება, რომ ვიკისრებთ ტფილისში წყლის გაყვანასაო; მაგრამ გარდაწყვეტილ ფასსა და პასუხს არცერთი არ ამბობსო; ყველანი თხოულობენო, რომ ჯერ პლანი უნდა იყოს ქალაქისა, გამოკვლევა არის საჭირო იმ ადგილებისა და ქუჩებისა, სადაც წყალი უნდა იქნეს გაყვანილი, ყველაფერს გამოანგარიშება უნდაო და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ამ საქმის კისრებაო.

ბევრი ბაასისა და მიდებ-მოდებით ლაპარაკის შემდეგ, ბოლოს კრებამ თითქმის ერთხმად მიიღო უფ. ხმოვანის მეანგულოვის წინადადება, რომ ქალაქმა დანიშნოს თექვსმეტი ათასი მანეთი ქალაქის პლანის ასაღებად და გამოსაკვლევლად.

როგორც ჰხედავთ, ახლა ნამდვილს, სწორს გზას დაადგა ჩვენი ქალაქის რჩევა: გამოკვლევისა და ყველა ხარჯის შეტყობის შემდეგ, პირველი ნაბიჯი ის იქნება, რომ გამოაცხადოს ვაჭრობა—თუ ვინ, რომელი კამპანია, ანუ კერძო პირი იკისრებს წყლის გაყვანასა და შეასრულოს ეს დიდი ხნის საყაყანო და დაუბოლოებელი საქმე.

*** ახალციხიდამ იწერებიან „ტფილისის მოამბეში“, რომ ახლად-შეძენილ არტაანიდამ და შოლცხოვიდამ ჩვენში თავისუფლად და დაუბრკოლებლივ შემოაქვთ ყოველ გვარი სავაჭრო საქონელიო და ახალციხიდამა და ახალქალაქიდამაც ამ მხარეებში აგრეთვე უშიშრად მიდიან ვაჭრებიო.

ამავე გაზეთის სიტყვით, ახალციხისა და ახალქალაქისაკენ პურისა და ხილის მოსავალი გვარიანი ყოფილა; თივა კი ისე ბლომათ მოსულა, რომ არიციან—რასში მოიხმარონ და როგორ გამოიყენონო.

*** გაზეთი „კავკაზი“ გვაცნობებს, რომ თრიალეთის პრისტავს ჰუსსეინ-ალა მურსაკულოვს დაუჭერია ოთხი ავაზაკი მეჰრ-ალის შაიკიდამ, სახელდობრ: ჰუსსეინ-ყალა-ოღლი, უმბათ-ყალა-ოღლი, ქასუმი ხოჯა-ოღლი და ალი-იზმაილ-ოღლი.

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი

გაზეთს „პრესში“ იწერებიან ბოლგარიიდამ 15 ოქტომბერს:

„ერთს განათლებულ ბოლგარიელს ვკითხე მე ამ დღეებში—ვის წინააღმდეგ იბრძვით და აჯანყებულხართ-მეთქი? იმან მიპასუხა, რომ ჩვენ ბერლინის ტრაქტატის წინააღმდეგ ვიბრძვითო. ეს არის აქაური ხალხის საზოგადო ჰაზრი. ხალხი ამბობს, რომ ჩვენ ვერ მოვითმენთო, რომ ჩვენი მოძმენი (ჩრდილოეთი ბოლგარია) თავისუფალი იყვნენ და ჩვენ კი ისევ ოსმალეთის ხელში დავრჩეთო; სანამ ჩვენც არ გავთავისუფლდებით, თოფ-იარაღს არ დავყრითო.

„ბოლგარიის სამღვდელოება, რომელსაც ხალხზე დიდი გავლენა აქვს, რითაც შეუძლიან ეხმარება აჯანყებულებს. ამ სამღვდელოებამ გამოაცხადა, რომ ჩვენი ლოცვა-კურთხევა არ მოაკლდება სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთაო და ამათთვის ვაგროვებთ ჩვენ ფულსაო. „ჩვენი მონასტრები და ეკკლესიები თავიანთ ოქრო-ვერცხლსა და ძვირფასს ქვებს დასდებენ მსხვერპლად სამშობლოს საკურთხეველზედო!“ მითხრა მე ამას წინათ ერთმა ბოლგარიელმა პატივცემულ მღვდელმა.“

— მაკედონიიდამ იწერებიან ფრანცუზულს გაზეთს „ფრანსში“, რომ აქაური აჯანყების ხელმძღვანელები განთავისუფლებული ბოლგარიიდამ მოდიანო; ბოლგარიიდამვე მოდისთ აგრეთვე მაკედონიის განდგომილებს თოფ-იარაღი და ტყვია-წამალიო. ამ მოთაევეთ მომეტებული ნაწილი არიან ისეთი ბოლგარიელები, რომელნიც ოსმალეთთან ბრძოლის დროს რუსის სამსახურში ირიცხებოდნენ. ამათ დროშაზე აწერია ორი სიტყვა: „შეერთებული ბულგარია“, რომლიდამაც ამათი მიზანი ცხადათ სჩანს.“

## ინგლისი

ვენის გაზეთს „ტაგბლატში“ დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, ინგლისმა გამოაცხადაო, რომ, თუ რუსის ჯარები

---

სები დავსწერეო? ეტყობა, თავისი უწინდელი ლექსები თითონვე დავიწყებია. ისევ ის აზრი, ისევ ის კილო და ისევ ის სიტყვები, რაც უწინდელ სიმღერებში იყო. თავით ბოლომდის წავიკითხე „სახალხო მეჯლისი“, ვეძებდი ახალ სიმღერას; მაგრამ ამაო იყო ჩემი ძებნა... ისევ ის სკანდარ-ნოვა.

არც პოეტური გრძნობა, არც ნამდვილი ოცნება, არც სიტყვის მშვენიერება არ მოიპოება ამ წიგნში.

ლექსი არ არის სწორი, ზოგან მარცვალი აკლია, ზოგან—მეტია. სიმღერა აჭრელებულია ძველებურ სიტყვებითა, მაგრამ ვაი იმ სიტყვებსა სკანდარ-ნოვის ხელში,—სულ გადაუსხვაფერებია და გაურყვნია, და არც ამ სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობა ესმის. სიმღერაში ერთს სტრიქონს მეორესთან არავითარი კავშირი არა აქვს, ასე რომ ლექსი თუ გინდ თავიდამ წაგიკითხავს, თუ გინდ უკანიდამ, ისევ ის აჭია-ბაჭია გამოდის. —აიღეთ რომელიც გნებავთ. ვთქვათ ეს იყოს მაგალითად (იხილე 9 გვ.):

„ბალი მქონდა: ბაღში ვერ გავიარე,
თალი მქონდა: კარგა ვერ მოუარე...
საყვარლისთვის თავ-შიშველა ვიარე!...
ვის უნახავს ხეირი მებაღისაგან (?)

გაიგეთ რამე? საიდამ სადა: ბალი, თალი, საყვარელი და მებაღე? აბა ახლა ეს ლექსი უკუღმა წაიკითხეთ:

„ვის უნახავს ხეირი მებაღისაგან (?)“
საყვარლისათვის თავ-შიშველი ვიარე!...
თალი მქონდა: კარგა ვერ მოუარე....
ბალი მქონდა: ბაღში ვერ გავიარე,—

თქვენმა მზემ, ჩინებული რამ არი ეს სკანდარ-ნოვის ლექსები, — როგორც გინდა ისე წაიკითხავ. მოდი მეცა „ვთქვამ“ ახლა ლექსსა:

ბალი მქონდა: ბაღში ვერ გავიარე,—
ნეტარ ჩემზედ გული რათ აიყარე,
სკანდარ-ნოვა, გზა გიყვარდეს მართალი,
შემიბრალე, ნუ იქნები უწყალო,
ჰსთქვი ვინ შეამცირა: „ბანი“ და „ლასი?“

იქნება გეგონოსთ ეს ლექსი მე მეთქოს,—სრულებითაც არა. თითო სტრიქონი სხვა და სხვა სიმღერებიდამ გამოვწერე და ხო ხედავთ რა კარგი ლექსიც გამოვიდა! ვითომ რით არი ცუდი? ან ზე-მოყვანილ სკანდარ-ნოვის ხანასთან რათ დაიწუნებთ?

ეხლავე ვურჩევ უ. სკანდარ-ნოვას მერმისთვისაც გამოსცეს ახალი სიმღერები, მაგრამ წერით კი ნულარ იტკენს თავსა. რა საჭიროა? მხოლოდ წლევანდელი სიმღერები უკუღმა ააწყობინოს და ისე დააბეჭდვინოს. ამასთანავე ნუ დაავიწყდება და ყოველ ხანაში ჩაურთოს თავის სახელი, რათა განითქვას სახელი მისი ქვეყანასა ზედა და გადვიდეს საშვილიშვილოთ უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

ა.

არ მოშორდებიან სტამბოლს, ამ შემთხვევაში ინგლისიც იძულებული იქნება, რომ თავის სამხედრო ფლოტი ისევ პრინცის კუნძულებთან დააბრუნოსო.

— ერთს მანჩესტერის გაზეთში მოყვანილია შემდეგი სიტყვები:

„ზოგიერთს გაზეთებში იწერებოდნენ ამას წინათ, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შუა მოლაპარაკება არისო რუსეთის წინააღმდეგ კავშირის შეკვრაზედაო. რამდენათაც ჩვენ შევიტყვეთ, ეს ამბავი ნამდვილია. საფრანგეთს სირიაში და მეგვიპტეში ისეთივე ინტერესები აქვს, როგორც ინგლისს. ინგლისის პირ-და-პირი სარგებლობა მოითხოვს, რომ რუსეთი აღარ გაძლიერდეს აზიაში; ამიტომაც ის ცდილობს როგორც ოსმალეთის აზიის სიმთელის დაცვას, აგრეთვე იმას, რომ რუსეთი არ მიუახლოვდეს იმის ინდოეთის სამზღვრებს (ავგანისტანში არ ჩაადგმევინოს ფეხი). თუ ყველა ამ გარემოებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ინგლისისა და საფრანგეთის დაკავშირება ადვილად წარმოსადგენია და ასახსნელი.

„ამბობენ აგრეთვე, ვითომც ამ ორმა სახელმწიფომ ავსტრიაც თავისკენ მიიმხროვო. მაგრამ ამაზე კი ჯერ ნამდვილი ამბავი ჩვენ არა ვიცით-რა.“

## რუსეთი

„პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ დაბეჭდილია ოდესსიდამ 11-ს ოქტომბერს მიღებული შემდეგი საყურადღებო ამბავი:

„ამ დღეებში ჩამოვიდა ოდესსაში ღენ. სემეკა, რომელსაც მთავრობისაგან მიუღია ბრძანება, რომ აქ და ნიკოლაევში დაამზადოს ხომალდები ჯარებისა და სამხედრო მასალების გადასატანათ ვარნაში და ბურგასში. ამას გარდა დაქირავებულია რამდენიმე ხომალდი რუსის საზოგადოებისა. ამბობენ, რომ ამ ხომალდებით ჯერ-ჯერობით 30,000 კაცი უნდა გადაიყვანონ ისევ ბოლგარიაშიო. ამ ჯარების უფროსად დანიშნულია ღენ.-ლეიტ. ნიკიტინი, რომელსაც ბრძანება მოუვიდა ლივადიიდამ, რომ ჯარები მუდამ მზათ ჰყავდეს საომრად.“

— „პეტერბურღის უწყებებში“ იწერებიან, რომ ღენ. ტოტლებენი ჯერ ვერ დაბრუნდება პეტერბურღშიო, რადგან ბოლგარიაში საქმეები ისეთ ნაირად არეულიაო რომ ზოგიერთები ხელ-ახლად ომსაც კი მოელიანო.

---

## წერილი რედაქტორთან

—

შვალო რედაქტორო!

რასაც ქვევით ვიტყვი, იმის დამტკიცება შემიძლია მოწმეებით და საბუთებით..

„ივერიის“ მე-39 და 41 №№-ში გამოაშკარავდა ის ჩვენი წასრული ქართული წრის საქმეები, რომლებზედაც გაზეთებში თუმცა ბევრი არა თქმულა რა, მაგრამ თქმით კი მეტი ვთქვით. „ივერიაში“ გამოვიდნენ ერთის მხრით ი—ა ი—ძე, რომელიც თხოულობს წრისაგან შემოსული ფულების ანგარიშს და ამტყუვნებს თ. ივ. აბაშიძეს 400 მ. ჩაყლაპვაში; მეორის მხრით თ. ივ. აბაშიძე აგებს პასუხს ამ დაბრალებაზე მე-41 №-ში, სადაც სხვათა შორის ამბობს ამ სიტყვებს თავის გამართლების შემდეგ:

„.... საბუთებს ამ ანგარიშისას წარვუდგენ წრის წევრებს, რომელნიც წარმოსთქმენ გაზეთით, თუ როგორ ვიქცეოდი, ან მოვიქეცი ამ შემთხვევაში, ან რამოდენი მანეთი ჩავყლაპე, ანუ ჩაჰყლაპა სხვამ....“

მე გახლავარ უწინდელი ქართული თეატრის წრის წევრი და, რადგანც თვით ივ. აბაშიძემ გამოგვიწვია გაზეთის საშუალებით—წარმოვსთქვათ ის, რაც ვიცით, ამისთვის მე ვალდებულად ვრაცხ თავს ვთქვა ის, რაც ვიცი და გავუსწორო რამოდენიმე შეცდომები უფ. ივ. აბაშიძეს.

ივ. აბაშიძე ამბობს, რომ ჩემთვის ფულები არ მოუთხოვნიათო, თორემ ყოველს წამს შემეძლო ანგარიში გამეწმინდაო. ნურას უკაცრავად: ეს მსუქანი ტყუილი გახლავთ. აი საქმე როგორ იყო: ერთხელ შევიკრიბენით, მოვიხმეთ ივ. აბაშიძე და არ მოვიდა... მეორეთ შევიკრიბენით... მოვიდა და როცა ანგარიში მოვთხოვეთ, იმან გვითხრა: „მე არ მეგონა, თუ ასე უცებ ანგარიშს მომთხოვდითო და ამისთვის მზად არ მაქვსო.... შემდეგ სხდომისთვის წმინდათ „აკკურატნათ“ ჩაგაბარებთო.“ კარგი! დავნიშნეთ მესამე სხდომა... მოვიდა.. ანგარიში მოგვცა, ე. ი. ანგარიში და ფულები კი ისევ იმას დარჩა.... „ყოველ მინუტში შემიძლიაო ფულების მიცემაო“ და აქ კი ვერ მოიქმედა აგრე.... .

ეს ამბავი გახლდათ წრის დაშლამდის. შემდეგ დაშლისა ბევრჯერ ვთხოვეთ ფული, მაგრამ ივ. აბაშიძემ არ მოგვცა. თუმცა აქ დამნაშავეთ არაფერში გამოჩნდება, რადგან ფორმალურად არ მოგვითხოვია, არამედ ხან ერთი წრის წევრი ეტყოდა, ხან მეორე და ამას ივ. აბაშიძე არაფერად აგდებდა.

ბოლოს, ამ ორი თვის წინეთ, მე მიმგზავნეს რამოდენიმე წრის უწინდელმა წევრებმა ივ. აბაშიძესთან, შემეტყო თუ რა ნაირად შეიძლება მისგან ფულების მიღება. ივ. აბაშიძემ ეს პასუხი მომცა: შეიკრიბენით ყველანი, შეადგინეთ ჩემთან თხოვნა, ზედ ხელი მოაწერეთ, გამომიგზავნეთ—მერმე მე უწყებებს გამოგიგზავნით, დროს დაგინიშნავთ, ხელ-მეორეთ შეიკრიბენით და ფულებს ჩაგაბარებთო. კარგი... შევიკრიბენით და შევადგინეთ შემდეგი ქაღალდი:

„უფ. ივ. აბაშიძე! თქვენ იყავით სამეფო სახლის გაქირავების გამგებლად,— იმ სახლისა, რომელიც 1875 წელიწადში მიეცა წარმოდგენისთვის ქართული სცენის მოყვარეთა ხელში.—თქვენ ზალის გაქირავებისაგან ამოღებული ფულები უნდა გადაგეცათ ქართული სცენის მოყვარეთა კასსაში. მაგრამ აქამდის არც კასსამ და არც მაშინდელთა სცენის მოყვარეთა აღებული ფულის ანგარიში არ იციან. ახლა ამათი სურვილია და თქვენ ვალდებული ხართ ფულის ანგარიშიც და ფულიც წარმოუდგინოთ იმ პირთ, რომელნიც თავის სურვილს ამტკიცებენ ამ ქაღალდზე ხელის მოწერით.“

„ალექსი ჭიჭინაძე. კოტე მესხი. ევგენია ჩხეიძისა. ილარიონ მიქელაძე. ივანე მესხი. ან. მესხი. ანტ. ლორთქიფანიძე. ი. ჯაიანი. ეფროსინე კლდიაშვილისა. მაკრინა ჩიკვაიძისა. ბ. ლოსაბერიძე. ს. ძიმისტარიშვილი. ს. ცქიტიშვილი.“

ეს პირები გახლავთ იმ უწინდელი წრის წევრები; სხვები ბევრნი გვაკლიან, რადგანაც ზოგი თფილისშია, ზოგი პეტერბურღში და ზოგმა ეს პასუხი მოგვცა, როცი ზემო-მოყვანილი საბუთი მიუტანეთ:“ ფულები დაკარგულიაო, ამ ქაღალდით კი არა, იმათი ამოგება არას გზით არ შეიძლებაო და ჩვენ ტყვილა ხელის მოწერა მოგვიხდება და არ მოვაწეროთ!“ სხვათა შორის წევრმა ზ. ჭიშვილმა არ მოაწერა და ეს მოგვახსენა:“ ივ. აბაშიძესთან ამ ქაღალდს არაფერი ძალა არ ექნება. ფულებს არ მოგვცემს!“ ივ. აბაშიძე კი თხოულობდა, რომ, თუ ყველა წევრების ხელ მოწერილი არ იქნა ქაღალდი, ისე ფულებს ვერ მიიღებთო....

საქმე ამ მდგომარეობაშია: ქაღალდით, თხოვნით ვერა გავაწყვეთ-რა და მირჩა ისევ ივ. აბაშიძეს.

შევადგინეთ ხელ-მეორედ წრე... უმეტესი ნაწილი ამ წრის წევრებისა უწინდელი წრის წევრებია და ივ. აბაშიძე ამბობს, რომ „ახალს წრეს ანგარიშს არ მივსცემო და იმასთან მე საქმეს არ დავიჭერო. ახალ წრეს არა აქვს ნება ანგარიში მომთხოვოსო.“ მართალია, ახალს წრეს ანგარიში არ მოუთხოვნია, მაგრამ ფულების შოვნა რომ გვგვიჭირდა წარმოდგენების გასამართავად, დავაპირეთ ივ. აბაშიძესთვის მოგვეთხოვა ფულები... ვვაქვს ჩვენ ამის უფლება თუ არა? მე მგონია სრული. ჩვენი მიზანიც ეს არი, რაც უწინდელ წრეს ჰქონდა, ე. ი. ქუთაისში ქართული წარმოდგენების გამართვა და მით სცენის გაუმჯობესობა. ივ. აბაშიძე ხედავდა, რომ ჩვენ ხუთი თვის განმავლობაში გავმართეთ რვა წარმოდგენა და მესამედი შემოსავლის მეტი სულ დაგვეხარჯა წარმოდგენების გამართვაში, რადგანაც არც დეკორაცია იყო, არც ლამპები და სკამები. თუ კი ივ. აბაშიძეს გადმოეცა ახალი წრისთვის ფულები, მაშინ შეიძლებოდა ნივთების შეძენა და ფულიც მეტი დაგვრჩებოდა.

ეხლა მოგახსენებთ ივ. აბაშიძის ანგარიშზე. ვანა ამნაირი ანგარიში შეიძლება?.. თქვენ ამბობთ, შემოვიდა 361 მ. დაიხარჯა 111 მან., დარჩა ნაღდი 250 მ. ეგრე არ შეიძლება ანგარიშის მოცემა და მოგვეცით ნება, უფ. ივ. აბაშიძე, შამოვიტანოთ ეჭვი თქვენი ანგარიშის

სიმართლეში.... რადგან თქვენ გნებავთ ეს საქმე გაზეთების საშუალობით დაბოლოვდეს, ამისათვის ყველაფერი დაწვრილებით, დასამტკიცებელი საბუთებით მოგვიხსენეთ... რა ნაირად შემოვიდა, ვინ შემოიტანა, ვის რა გარდაახდევინეთ, რამდენი წარმოდგენის ქირა არის, რა დახარჯეთ და რაში... მაშინ ჩვენ შეგვიძლია დაგეთანხმოთ, თორემ თქვენ შეგიძლიანთ ამ ნაირად სთქვათ—შემოვიდა 200 მ. და დაიხარჯა 300 მ. ბამოიწვიეთ ფუფ. ი. მესხი და ანტ. ლორთქიფანიძე, რომელნიც თქვენთან ერთათ იყვნენ ამ საქმეში და მასთან სრული, წმინდა ანგარიში მოგვეცით.

აი რას მოგახსენებთ: უწინდელი წრის და ახალი წრის წევრები შევიკრიბებით. ამოვირჩევთ ჩვენს შორის ხუთს კაცს და ყველა ანგარიში და ფულები ჩააბარეთ იმათ. იმათი სახელი და გვარი გამოვაცხადოთ გაზეთებში და იმ ფულების ჯამიც, რამდენიც ამათ ჩაბარდებათ.

ჩემის გამოანგარიშებით, ქუთაისის ქართულს სცენას ფული უნდა ჰქონდეს სულ 800 მანეთამდის. ყველა ეს ფული უნდა მოგროვდეს და ჩაბარდეს იმ ამორჩეულ პირებს.

კოტე მესხი

ქუთაისი, 23 ოქტომბერს.

# ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**პეტერბურღი, 26 ოქტომბერს.** კავკასიის სამასწავლებლო მაზრის მზრუნველი ნევეროვი დაინიშნება წევრად სახალხო განათლების სამინისტროს რჩევის და ამასთანავე დაითხოვება ახლანდელის თანამდებობიდგან.

**რომი, 25 ოქტომბერს.** საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა უმთავრესს სახელმწიფოებს მიმართა ნოტით, რომელშიაც მოხსენებულია, რომ ახლა, როდესაც დაერწმუნდითო, რომ ოსმალეთი და საბერძნეთი თავის-თავით ვერ მორიგდნენ ერთმანეთში, დრო არისო, ოსმალეთს მოვთხოვოთო, რომ იმან, ბერლინის ტრაქტატის თანახმად, შეუსწოროს საბერძნეთს სამზღვრები; ოსმალეთმა ეხლავე დანიშნოს დელეგატები ამ სამზღვრების შესასწორებლად. ამბობენ, რომ გერმანიამ, რუსეთმა და იტალიამ ეს ვადინგტონის წინადადება მიიღესო.

**ვენა, 25 ოქტომბერს.** დეპუტატთა პალატამ 160 ხმით უმეტესობით 70 ხმაზე მიიღო ადრესსის პროექტი მესამეჯერ წაკითხვის შემდეგ.

# განცხადებანი

თიანეთის უეზდში თ. ნიკო ჭავჭავაძის მამულის გვერდით, **ისყიდება მამული** სულ 700 **დესიატინა,** რომელიც შეიცავს სახნავ-სათესს ადგილს, ტყეს, საწისქვილეს ადგილს (იორზე).

ფასისა და აგრეთვე უფრო დაწვრილებული გარემოების შეტყობა და მამულის პლანის ნახვა შეიძლება „დროების“ რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, სახლს № 8.

(10—8)

მასწავლებელს ჰსურს მოამზადოს ყმაწვილები სასწავლებლებში. ადრესი გთხოვთ ხელაძის სტამბაში დასტოვოთ.

ე. ექვთიმე ხელაძის სტამბაში იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა საქართველოსი

## კალენდარი

ქართველთა და სომეხთა
1879 წლისა.
ქართულის ქორონიკონით
35 წლისათვის
შედგენილი ი. ლიაძის მიერ
და გამოცემული
ექვთიმე ხელაძისაგან

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

## „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“

რომანი
ლავრენტი არდაზიანისა.
გამოცემული
ი. მელიქოვისა და გ. ჩარკვიანისა.
ფასი 30 კაპეიკი.

ისყიდება

## „კრებული“

1873 წლისა

**ქუთაისში:** კ. მესხის წიგნის მაღაზიაში, კლუბს ქვეშ.

**თფილისში:** გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ქაშვეთის ეკკლესიის სახლში,

**ფასი:** №№ 3, 4, 7, 8, 9-ის თითოსი ხუთ-ხუთი შაური; №№ 5 და 6 ორივესი ერთად ათი შაური; № 10—ორი შაური; №№ 1 და 2 ცალკ-ცალკე არ ისყიდება, და მთელის წლის ათი ნომერი ღირს ხუთ მანეთად.

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი. . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ლამ. | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური. . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში. . . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოჩტა**

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (ხამი მისხალი) . . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 26 ოქტომბ. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 70 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 50 |
| ქერი ფუთი . . . . . | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 6 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი . . | 7 | 50 |
| ბაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფუთი | 8 | 50 |
| —თარაქამისა ფუთი . . | 4 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | — |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 60 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 40 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 81 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | 81 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 80 |
| შაქარი, გროც. ფუთი . | 7 | 40 |
| —ფხვნილი ფუთი . . . | 6 | 20 |
| ყავა გრგვალი, გირვ . . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი | 12 | 80 |
| თამბაქო, საშუალო ფთ. | 6 | 60 |

**თფილისის სამკურნალო**

ერევნის მაედანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

**ორშაბათს:** ვერმიშევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათ., ქიურჩარიანცი—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

**სამშაბათს:** ვერმიშევი — შინაგ. ა. ბ ხუტოვი —საბებიო და ბავშვის, პეუნოვი— თვალის.

**ოთხშაბათი:** ვერმიშევი შინაგანი.

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი — შინაგ., ქიურჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

**პარასკევს:** ვერმიშევი- შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

**შაბათს:** ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

*Дозволено цензурою. Тифлисъ 26 Октября 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი, რედაქტორი ს. მესხი.